-

თერჯოლის მუნიციპალიტეტი

სატენდერო დოკუმენტაცია

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფლებში,

ბეტონის გზების, სანიაღვრე არხების, ცხაურების და ბოგირების მოწყობის

სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა

გამარტივებული ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება -39 000ლარი

CPV 45200000 - მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო
სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" და „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" დამტკიცების შესახებ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის **2011** წლის **7** აპრილის **N9** ბრძანების საფუძველზე

ქ. თერჯოლა. **2016** წელი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – „სისტემა“) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ შესაბამისად.

1.2 ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული თარგმანები ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში თუ ტენდერში მონაწილე პირი უცხოეთის მოქალაქეა ან უცხოეთში რეგისტრირებული იურიდიული პირია აუცილებლობას წარმოადგენს წარმოდგენილი იქნეს პირის რეგისტრაციასთან დაკავშირებული ინფორმაციაც დამოწმებული, ამისათვის უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ (საელჩო, საკონსულო და/ან სხვა ადმინისტრაციული ორგანო).

1.3 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული ყველა დოკუმენტი და/ან ინფორმაცია ხელმოწერილი და/ან ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იქნეს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში, ატვირთული უნდა იქნეს მინდობილობა ან რწმუნებულება).

1.4 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.5 პრედენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება

2. საკვალიფიკაციო მოთხოვნები

2.1 საკვალიფიკაციო მოთხოვნები არ გამოიყენება.

ტექნიკური დავალება.

3.1 სამუშაოს დასახელება ,შესრულები ვადა და ადგილი.

3.1. ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფლებში, ბეტონის გზების, სანიაღვრე არხების, ცხაურების და ბოგირების მოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა, დანართი-№2 ში მითითებული სოფლების და მოცულობების შესაბამისად. **(დანართი №2 ატვირთულია ცალკე ფაილად)**

3.1.სამუშაოების შესრულების ადგილი: თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორია, დანართი-N2 ში მითითებული სოფლები.

3.1.„მიმწოდებელმა" სამუშაოები სრულად უნდა შეასრულოს ხელშეკრულების დადებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

3.1.,,მიმწოდებელის" მიერ სამუშაოების დაწყება უნდა მოხდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 5(ხუთი) კალენდარული დღისა.

4. ინფორმაცია ანალოგიური სამუშაო გამოცდილების შესახებ.

4.1 პრეტენდენტის მიერ შესრულებული ანალოგიური სამუშაოების (CPV-45200000 კოდით გათვალისწინებული სამუშაოები) მოცულობა (ქვე-კონტრაქტორის გარეშე) მიმდინარე წლის (დასრულებული ხელშეკრულებები) და ბოლო 2 (ორი) წლის (2014,2015 წ.წ.) განმავლობაში არ უნდა იყოს სატენდერო თანხის 100% ზე ნაკლები. ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს დანართი-№3 ის მიხედვით, დადასტურებული შესაბამისი დოკუმენტაციით (ხელშეკრულებები, მიღება-ჩაბარების აქტები, შესრულებული სამუშაოს აქტები)

5. ინფორმაცია პრეტენდენტის მატერიალურ-ტექნიკური შესაძლებლობების შესახებ.

5.1. პრეტენდენტს ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად უნდა გააჩნდეს საკუთარი ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ნებადართული ან აუკრძალავი ნებისმიერი ფორმით (ქირა,თხოვება და ა.შ) თანამედროვე ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისი, მანქანა-მექანიზმები მინიმუმ:

- **სამი ერთეული ბეტონმზიდი**
- **ორი ერთეული ავტოთვითმცლელი**
- **ერთი ერთეული ექსკავატორი**

5.2. საკუთრების შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნას საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები, სხვა შემთხვევაში – შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები (საიჯარო, თხოვების, ქირის, იჯარის, ხელშეკრულების ასლ(ებ)ი), რომელიც ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სამუშაოების დასრულების ვადას.ინფორმაცია პრეტენდენტის ტექნიკური შესაძლებლობების შესახებ წარმოდგენილი უნდა იყოს დანართი-№4 შესაბამისად.

5.3 .შემყიდველი უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, ტენდერში მონაწილე პირს მოსთხოვოს ცხრილი N4-ში შეტანილი პოზიციების მიხედვით სარეგისტრაციო მოწმობების ან/და მფლობელობის ან/და სარგებლობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტების ასლების (აუდიტის დასკვნა, ან სხვა დოკუმენტაცია) წარმოდგენა, რომელიც დაადასტურებს მოცემული მომენტისათვის მფლობელობის/სარგებლობის არსებობას და სადაც მითითებული იქნება ტექნიკის მაიდენტიფიცირებელი მონაცემები; ასევე, სალიზინგო ან/და საიჯარო ხელშეკრულების ფარგლებში არსებული მანქანა-მექანიზმების დამადასტურებელი დოკუმენტაციის სახით წარმოდგენილი უნდა იქნას ლიზინგის ან/და იჯარის შესახებ მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულება ან/და ლიზინგისა და იჯარის გამცემის მიერ გაცემული წერილობითი ინფორმაცია (ცნობა ან/და რეკომენდაცია) ხელშეკრულების მიმდინარეობის შესახებ.

5.4.შემსყიდველი უფლებამოსილია ტენდერის მიმდინარეობისას, შერჩევა/შეფასების ეტაპზე მოახდინოს პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი მანქანა-მექანიზმების ვიზუალურად დათვალიერება და ტექნიკური გამართულობის (ვარგისიანობის) შესახებ ინფორმაციის მოძიება.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში თუ შესყიდვაში მონაწილეობს საზღვარგარეთ რეგისტრირებული კომპანია ან მისი ფილიალი, რომელიც იყენებს საზღვარგარეთ რეგისტრირებული კომპანიის მონაცემებს (სამუშაო გამოცდილება, საშუალო წლიური ბრუნვა, მანქანა მექანიზმებს ან/და სხვა) ასეთ შემთხვევაში ფილიალი ვალდებულია ერთობლივად წარმოადგინოს, როგორც თავისი, ასევე საზღვარგარეთ რეგისტრირებული სათაო კომპანიის მონაცემები. კერძოდ:

- სათაო კომპანიის ანალოგიური სამუშაოების გამოცდილების გამოყენების შემთხვევაში, პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს სათაო ოფისის მიერ ანალოგიური სამუშაოებზე გაფორმებული ხელშეკრულებები და ამ სამუშაოების დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (მ/ჩ აქტები ან/და დადასტურებული ა/ფაქტურები ან/და სამუშაოების დასრულების სერთიფიკატები ან/და სხვა ანალოგიური დოკუმენტაცია)
- სათაო კომპანიის საკუთრებაში არსებული მანქანა-მექანიზმების გამოყენების შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს ტენდერში მონაწილე პრეტენდენტს წარმოადგინოს შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (სარეგისტრაციო დოკუმენტაცია ან/და საკუთრების დამადასტურებელი სხვა ანალოგიური დოკუმენტები).
- სათაო კომპანიის მიერ გაცემული ნებისმიერისახის ცნობა ან/და ინფორმაცია დამოწმებული უნდა იყოს სათაო კომპანიის უფლებამოსილი პირის მიერ (წარმოდგენილი უნდა იყოს ხელისმომწერი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი).
- სათაო კომპანიიდან, მოთხოვნილი ინფორმაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ასლების წარმოდგენის შემთხვევაში, ისინი სათანადო წესით უნდა იყოს დამოწმებული საზღვარგარეთ რეგისტრირებული კომპანიის შესაბამის ქვეყანაში, რომლითაც დადასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტების ორიგინალთან (დედანთან) შესაბამისობა.
- უცხოურ ენაზე წარმოდგენილ დოკუმენტაციას ასევე უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმა

6.ინფორმაცია ქვე-კონტრაქტორის მიერ შესასრულებელი სამუშაოების შესახებ.

6.1 ქვე-კონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში, ქვე-კონტრაქტორზე წარმოდგენილი უნდა იქნას ქვე- კონტრაქტორის დასახელება და მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, ინფორმაცია ანალოგიური სამუშაო გამოცდილების შესახებ(დადასტურებული შესაბამის დოკუმენტაციით, ხელშელრულებები. მიღება-ჩაბარების აქტები, შესრულებული სამუშაოს აქტები) შესასრულებელი სამუშაოების დასახელება შესასრულებელი სამუშაოების ღირებულება, მოცულობა. ქვეკონტრაქტორი არ უნდა იყოს რეგისტრირებული სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს არაკეთილსინდისიერ მეწარმეთა რეესტრში (შავ სიაში). ქვე-კონტრაქტორის (ქვეკონტრაქტორების) მიერ შესასრულებელი სამუშაოების ჯამური მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს შესასრულებელი სამუშაოების მთლიანი მოცულობის 40%.

7. კალენდარული გეგმა–გრაფიკი

7.1.,,მიმწოდებლის“ მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს სამუშაოების შესრულების კალენდარული გეგმა–გრაფიკი,(ხაზობრივ/ფინანსური) (დანართი №4) სადაც აღნიშნული უნად იყოს დღეების (ეტაპების) მიხედვით თუ რა ღირებულების სამუშაო იქნება შესრულებული, ამავდროულად კალენდარული გეგმა გრაფიკით გათვალისწინებულ თითოეულ ეტაპზე შესასრულებული სამუშაოების ღირებულება არ უნდა იყოს სახელშეკრულებლო თანხის 15 % ზე ნაკლები.

7.2.თუ,,მიმწოდბელი“ გადააცილებს მის მიერ წარმოდგენილი სამუშაოების კალედარული გეგმა–გრაფიკით გათვალისწინებულ შესაბამისი ეტაპის დასრულების ვადას, მიმწოდბელს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1% ოდენობით. გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული შესასრულებელი სამუშაოების 7(შვიდი) კალენადრულ დღეზე მეტი ვადით ჩამორჩენის შემთხვევაში (გარდა გეგმა გრაფიკით გათვალისწინებული საბოლოო ეტაპისა) ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

შენიშვნა: კალენდარული გეგმა გრაფიკით გათვალიწინებული თითოეული ეტაპის დასრულების შემდეგ მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ეტაპის დასრულების შესახებ და წარუდგინოს შესრულებული სამუშაოს აქტი.

8. სამუშაოთა წარმოების ჟურნალი

8.1.სახელშეკრულებლო ობიექტზე (ობიექტებზე) შემსრულებელმა უნდა აწარმოოს სამუშაოთა წარმოების, ზონარგაყრილი, დანომრილი, ხელშეკრულების ორივე მხარის მიერ ბეჭედით დამოწმებული ჟურნალი, სადაც ყოველდღიურად ჩაწერს დღიური შესრულებული სამუშაოების მოცულობას, შემსრულებელი პერსონალის მონაცმებს, გამოყენებული მექანიზმებისმების და მოწყობილობების ჩამონათვალს,რომელიც მონაწილეობდა სამუშაოების შესრულებაში, ხარისხის დაცვის პროცედურებს , ამინდის მონაცემებს და სხვა. ამ ჟურნალში ტექზედამხედველი სისტემატიურად აღნიშნავს თავის შენიშვნებს დაკვირვებეს და რეკომენდაციებს, აღმოჩენილი დეფექტების და მათი აღმოფხვის ვადები.

9. ანგარიშსწორების პირობები.

9.1. ანაგარიშსწორება მოხდება ეტაპობრივად, უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მიხედვით,(გარდა 9.2, 9.3 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევისა) შემსრულებლის მიერ სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10(ათი) სამუშაო დღეში.

9.2 იმ შემთხევაში თუ კალედარული გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული შესაბამისი ეტაპის ვადის ამოწურვისას ,,მიმიწოდებლის" მიერ არ არის შესაბამისი ეტაპის ღირებულების სამუშაოები სრულად შესრულებული, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ღირებულება არ ანაზაღაურდება ეტაპით გათავლისწინებული ღირებულების სამუშაოების სრულად შესრულებამდე.

9.3 იმ შემთხვევაში თუ ამოწურულია სამუშაოების შესრულების საბოლოო ვადა და მიმწოდებელი სამუშაოებს ასრულებს ვადაგადაცილებების პერიოდში, დარჩენილი შესასრულებელი სამუშაოების ღირებულება არ ანაზღაურდება სამუშაოების სრულად დასრულებამადე.

9.4.დაფინასების წყარო: პროგრამები სახელმწიფო ბიუჯეტიდან 100%

9.5. წინასწარი ანგარიშსწორების ფორმა (ავანსი) არ გამოიყენება.

9.6 .იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ ხარჯთაღრიცხვაში შესასრულებელი სამუშაოების ღირებულება გადანაწილებული იქნება ტენდენციურად (მეტობით), რითაც აშკარად იკვეთება პრეტენდენტის სურვილი წინსწრებით მიიღოს შესრულებული სამუშაოების ღირებულების შეუსაბამო ოდენობა, შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია არაკეთილსინდისიერი ქმედების გამო.

10. საგარანტიო ვადა

10.1. შესრულებული სამუშაოს სრულფასოვანი ფუნქციონირების საგარანტიო ვადა შეადგენს საბოლოო მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არანაკლებ 1 (ერთი) წელს, რომლის განმავლობაში რაიმე წუნის აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ აღნიშნული დეფექტი გამოწვეულია „მიმწოდებლის" მიზეზით, მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან, 30 (ოცდაათი) დღის ვადაში საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს აღდგენითი სამუშაოები.

11. სატენდერო წინადადების ფასი:

11.1 სატენდერო წინადადებაში ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

11.2 სატენდერო წინადადების საერთო და ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ლარებში.

12. სამუშაო ადგილის მომზადება, გარემოს დაცვა:

მიმწოდებელი ვალდებულია:

12.1 შეასრულოს სამუშაოები შრომის უსაფრთხოების პირობების დაცვით.

12.2 უზრუნველყოს სამუშაო ადგილის ფარგლებში მდებარე ხეებისა და მცენარეების სიცოცხლისუნარიანობა და ეკოლოგიურიზ ზემოქმედების მინიმუმადე დაყვანა.

12.3. ყველა სახის მოსამზადებელი სამუშაოს დაწყება შეთანხმებული უნდა იყოს მუნიციპალიტეტის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულთან.

12.4 სამუშაოს დასრულების შემდეგ შემსრულებელი თავისი ძალებით და სახსრებით 10(ათი) დღის ვადაში ვალდებულია გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი სამშენებლო მოწყობილობა–დანადგარებისგან, მასალებისგან, დროებითი ნაგებობებისგან, სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნარჩენებისაგან.

13. სამუშაოს შესრულების წესი

13.2 შემსრულებელმა უნდა აწარმოოს საშემსრულებლო ტექნიკური დოკუმენტაცია.

13.3 სამუშაოების შესრულების პროცესში უზრუნველყოს სამუშაო ადგილის შემოფარგვლა და დამცავი გამაფრთხილებელი თვალსაჩინოების და სინათლის ამრეკლი შუქნიშნის დაყენება.

13.4 მომუშავენი უზრუნველყოფილნი უნდა იყვენენ ინდივიდუალური დაცვის საშუალებით და ასევე უნდა სრულდებოდეს საერთო კოლექტიური დაცვის ღონისძიებები.

13.5 აუცილებელია უსაფრთხოების ტექნიკის, საწარმოო სანიტარიის და ხანძარსაწინააღმდეგო მოქმედი წესების, ნორმებისა და ინსტრუქციების დაცვა.

13.6 ,,მიმწოდებელი" ვალდებულია სამუშაოები ჩაატაროს სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მოცულობების და პირობების შესაბამისად.

13.7 ,,მიმწოდებელი" ვალდებულია სამუშაოები შეასრულოს ჯეროვნად საპროექტო დოკუმენტაციის, მოქმედი ნორმებისა და წესების, მსაგავსი სამუშაოებისთვის უკვე არსებული სტანდარტებისა და შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, წესებიდან და ნორმებიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვავაში შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს სამუშაო ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხიმგებლობის ზომები.

13.8. სამუშაოთა წარმოების დროს განსაკუთრებით ყურადღებით უნდა შესრულდეს მიწის სამუშაოები ჭრილში კომუნიკაციების (ელ. კაბელის, გაზსადენის, წყალსადენის და სხვა) ფარგლებში. აუცილებელია სამუშაოთა წარმოების ზონაში მოხვედრილი კომუნიკაციების მფლობელთა თანდასწრება და მათი მოთხოვნების გათვალისწინება. შემსრულებელმა უნდა ჩაატაროს ღონისძიებები, მიიღოს უსაფრთხოების შესაფერისი ზომები და განახორციელოს ყველა საჭირო სამუშაო ხელშეკრულების ფარგლებში, შეათანხმოს აღნიშნული სამუშაოები შესაბამის სამსახურებთან, მის სამუშაო ტერიტორიაზე ელექტროენერგიის, ტელეგრაფის, ტელეფონის ხაზების, ბუნებრივი გაზის სადენების და სხვა კომუნალური აღჭურვილობის დასაცავად და მათზე ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად. აღნიშნულთან დაკავშირებული ხარჯები უნდა გაიღოს შემსრულებელმა. შემსრულებელმა უნდა დაიცვას და გაათავისუფლოს დამკვეთი ყოველგვარი პრეტენზიისაგან, მოთხოვნისაგან, სარჩელისაგან, ზარალის ანაზღაურებისაგან და ხარჯებისაგან, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ზემოაღნიშნული ზემოქმედების შედეგად ან მასთან კავშირში.შემსრულებელი ვალდებულია სათანადოდ დაიცვას ყველა შენობა, ნაგებობა, დანადგარი, კომუნიკაციები დაზიანებისაგან და გაფუჭებისაგან ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში. შემსრულებელმა უნდა მიიღოს ყველა საჭირო ზომა შენობის, ნაგებობის, მილსადენების, კაბელების, კანალიზაციის, რკინიგზის და სხვა კომუნიკაციების დასაცავად.

14.ექსპერტიზა

14.1 ,,მიმწოდებელი" ვალდებულია ჩაატაროს ექსპერტიზა შესრულებული სამუშაოს ხარსიხზე, მოცულობასა და ფასებზე–სამუშაოს საბოლოო მიღება–ჩაბარების დროს. (ხარჯებს აანაზრაურებს მიმწოდებელი) 14.2 ექსპერტიზის ჩატარება უნდა მოხდეს ,,ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო"ს ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ. იმ შემთხვევაში, თუ დასკვნის გამცემი ორგანო არ იქნება სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო", პრეტედენტმა დამატებით უნდა წარმოადგინოს ექსპერტიზის განმახოციელებელი პირის შესაბამისი აკრედიტაციის სერთიფიკატი (აკრედიტაციის სფერო უნდა ფარავდეს მოთხოვნილ მომსახურებას)

15. პრეტენდენტის მიერ სისტემაში ტექნიკური დოკუმენტაციის სახით ატვირთული უნდა იყოს:

ა) პრეტენდენტის შეთავაზება დანართი-N1-ის შესაბამისად.

ბ) ხარჯთაღრიცხვა დანართი №2 ის შესაბამისად.

გ)ინფორმაცია პრეტენდენტის ანალოგიური სამუშაო გამოცდილების შესახებ.ტექნიკური დოკუმენტაციის მე-4 მუხლის 4.1 პუნქტის და დანართი-№3 ის შესაბამისად.

დ)ინფორმაცია პრეტენდენტის მატერიალურ-ტექნიკური შესაძლებლობების შესახებ. ტექნიკური დოკუმენტაციის მე-5 მუხლის 5.1 5.2 პუნქტების და დანართი-№4 ის შესაბამისად.

ე) სამუშაოს შესრულების კალენდარული გეგმა–გრაფიკი. ტექნიკური დოკუმენტაციის მე-7 მუხლის 7.1 პუნქტის და დანართი-№5 ის შესაბამისად.

ვ) ინფორმაცია ქვე-კონტრაქტორის შესახებ(აყვანის შემთხვევაში) ტექნიკური დოკუმენტაციის მე-6 მუხლის 6.1 პუქნტის და დანართი № 6 ის შესაბამისად.

შენიშვნა: სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტი დიკვალიფიცირებული იქნება ტენდერიდან (დაზუსტების გარეშე):

ა) ფასების ცხრილი-ის (ხარჯთაღრიცხვა) (დანართი N2) წარმოუდგენლობის შემთხვევაში;

გ) თუ საერთოდ არ იქნება წარმოდგენილი ინფორმაცია პრეტენდეტის ანალოგიური სამუშაო გამოცდილების შესახებ(ცხრილი№3)

გ)თუ საერთოდ არ იქნება წარმოდგენილი ანალოგიური სამუშაოების შესახებ ცხრილი N3 ის სახით პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ინფომარციის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუემენტაცია.

ბ) თუ საერთოდ არ იქნება წარმოდგენილი ინფორმაცია პრეტენდენტის მატერიალურ ტექნიკური შესაძლებლობების შესახებ (ცხრილი N4)

გ) თუ საერთოდ არ იქნება წარმოდგენილი მატერიალურ ტექნიკური შესაძლებლობელების შესახებ ცხრილი N4 ის სახით პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ინფომარციის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუემენტაცია.

16. სხვა მოთხოვნები

16.1 იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის შედეგად გამარჯვებული მიმწოდებლის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი **20%**-ით ან მეტით დაბალია შესაბამისი ტენდერის შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს მის მიერ ნაჩვენები საბოლოო ფასის ხარჯთაღრიცხვების საექსპერტო დასკვნა, იმის გათვალისწინებით, რომ რამდენად შესაძლებელია აღნიშნული თანხით ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულება (საექსპერტო დასკვნა წარმოდგენილი უნდა იქნას მოთხოვნიდან **5** (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

17. დამატებითი ინფორმაცია:

სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტების ან/და დაზუსტების მიღება პრეტენდენტს შეუძლია წერილობითი მიმართვის შემთხვევაში შემდეგ მისამართზე: ქ. თერჯოლა რუსთაველის ქ. N 109 საკონტაქტო პირი: ზურაბ გოგნაძე 577 79 27 79, ელ. ფოსტა: ***sheskidvebi.terjola@gmail.com***

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი

გამარტივებული ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე № NAT———

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი დაზუსტდეს და დაიხვეწოს ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

ქ. თერჯოლა. **---- -------- 2016 წ.**

ერთის მხრივ,

თერჯოლის მუნიციპალიტეტი

წარმოდგენილი თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგებლის, თეიმურაზ ჯაფარიძის სახით,

მის: ქ. თერჯოლა, რუსთაველის გამზ. №109.

საიდენტიფიკაციო ნომერი: № 231 946 623.

ტელეფონის ნომერი: ----------

ხაზინის ერთიანი ანგარიში: TRESGE22

ანგარიშის ნომერი: ----------

(შემდგომში შემსყიდველი)

და მეორეს მხრივ,

---------- (შემდგომში მომწოდებელი)

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობისა და „მიმწოდებლი“–ს სატენდერო წინადადების საფუძველზე, № NAT——— გამარტივებული აელექტრონული ტენდერის (აუქციონის გარეშე) ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 “ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ” (შემდგომ _ “ხელშეკრულება”) _ შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2“ხელშეკრულების ღირებულება” ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა. ორგანიზაციას (დაწესებულებას), ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 “შემსყიდველი ორგანიზაცია” (შემდგომ “შემსყიდველი”) ნიშნავს რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 “მიმწოდებელი” ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და ახორციელებს სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში.

1.5 “დღე”, “კვირა”, “თვე” ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

1.6 ,,სამუშაო" – ხელშეკრულების მე–2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7 ,,ტექნიკური დავალება" – ,,შემსყიდველი“ს მიერ № **NAT**-------- გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში (აუქციონის გარეშე) სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული მოთხოვნები და ,,მიმწოდებლის“ მიერ ამ მოთხოვნების შესაბამისად წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია.

2.ხელშეკრულების ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი.

2.1 ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფლებში, საუბნო გზებზე ინერტული მასალის შეტანა-გაშლა.

2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების აღწერა მოცემულია ტექნიკურ დავალებაში.

2.3 მოცემული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს: ხარჯთაღარიცხვა(დანართი- N2), ტექნიკური დავალება, სამუშაოების შესრულების კალენდარული გეგმა- გრაფიკი (დანართი -N5).

2.3 კლასიფიკატორის კოდი – 45233140 - გზის სამუშაოები.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს: ---------- (----------) ლარს.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1.სამუშაოების ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ,,შემსყიდველი“ სისტემატიურად ანხორციელებს ინპექტირებას. ინსპეტქირების შედეგები აისახება შესაბამის ოქმში და სამუშაო წარმოების ჟურნალში.

4.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ ,,შემსყიდველი" დაუყონებლივ წერილობით აცნობებს ,,მიმწოდებელს" დაწუნებული სამუშაოების ნაწილს წუნდების მიზეზების მითითებით.

4.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება ,,მიმწოდებელს", საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4.4,,მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ,,შემსყიდველი", კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებითა და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ ,,შემსყიდველი" კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით ,,შემსყიდველი."

4.5 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების სისტემატიურ კონტროლს (ინსპექტირებას) განახორციელებს თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურის, მშენებლობისა და ზედამხედველობის სამსახური, ხოლო პერიოდულ ინსპექტირებას ასევე განახორციელებს - ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების პირობების შესრულების კონტროლის მიზნით, თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებით შექმნილი კონტროლის ჯგუფი’’.

4.6 ინსპექტირების შედეგად მოწმდება სამუშაოს შესრულების მოცულობა, ხარისხი და ვადები.

5. სამუშაოს შესრულების ვადები და ადგილი

5.1„მიმწოდებელი“ ვალდებულია სამუშაოების სრულად შესრულება განახორციელოს ხელშეკრულების დადებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში, 2016 წლის ——————— ჩათვლით.

5.2,,მიმწოდებელის“ მიერ სამუშაოების დაწყება უნდა მოხდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 5(ხუთი) კალენდარული დღისა.

5.3 სოფლის საუბნო გზებზე შეტანილი ინერტული მასალის გაშლა უნდა მოხდეს შეტანისთანავე, მაგრამ არაუგვინეს იმავე დღისა.

5.3 სამუშაოების შესრულების ადგილი: თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორია, დანართი-N2 ში მითითებული სოფლები.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 „შემსყიდველი“ შესყიდვის ობიექტის მიღებას მოახდენს ეტაპობრივად, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების შესაბამისად

6.2 შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარება განხორციელდება თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურის, მშენებლობისა და ზედამხედველობის სამსახურის სისტემატიური შემოწმების შედეგების გათვალისწინებით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების პირობების შესრულების კონტროლის მიზნით, თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებით შექმნილი კონტროლის ჯგუფის'' დადებითი დასკვნის შემდეგ.

6.2მიმწოდებელი" ვალდებულია ჩაატაროს ექსპერტიზა შესრულებული სამუშაოს ხარსიხზე, მოცულობასა და ფასებზე–სამუშაოს საბოლოო მიღება–ჩაბარების დროს. (ხარჯებს აანაზრაურებს მიმწოდებელი)

6.3 ექსპერტიზის ჩატარება უნდა მოხდეს ,,ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო"ს ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ. იმ შემთხვევაში, თუ დასკვნის გამცემი ორგანო არ იქნება სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო", პრეტედენტმა დამატებით უნდა წარმოადგინოს ექსპერტიზის განმახოციელებელი პირის შესაბამისი აკრედიტაციის სერთიფიკატი (აკრედიტაციის სფერო უნდა ფარავდეს მოთხოვნილ მომსახურებას).

6.4 სამუშაოს დასრულების ვადათ ითვლება ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების პირობების შესრულების კონტროლის მიზნით, თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებით შექმნილი კონტროლის ჯგუფის'' მიერ სამუშაოების დასრულების დადასტურების დღე.

6.5 ფაქტიური შესრულების დამტკიცება განხორციელდება თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურის, მშენებლობისა და ზედამხედველობის სამსახურის სისტემატიური შემოწმების შედეგების გათვალისწინებით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების პირობების შესრულების კონტროლის მიზნით, თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებით შექმნილი კონტროლის ჯგუფის'' დადებითი დასკვნის შემდეგ.

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, „მიმწოდებლის" წერილობითი მომართვის საფუძველზე, გარდა 7.7; 7.8 პუნქტებით გათვალისიწინებული შემთხვევისა.

7.2 „მიმწოდებლის" წერილობით მომართვას ანგარიშსწორების თაობაზე უნდა დაერთოს:

ა) ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების პირობების შესრულების კონტროლის მიზნით, თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებით შექმნილი კონტროლის ჯგუფის'' დასკვნა.

ბ) ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მოცულობა და ღირებულება,

გ) ბეტონი ნარევის ლაბორატირიული დასკვნა

გ) ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს შესაბამისად მიღება-ჩაბარების აქტი

დ) ექსპერტიზის დასკვნა (საბოლოო მიღება ჩაბარების აქტი)

ე) შესრულებული სამუშაოს შესაბამისად ამოწერილი საგადასახადო დოკუმენტი.

7.4.ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო (ლარებში).

7.5 ანგარიშსწორება მოხდება ეტაპობრივად, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების შესაბამისად (გარდა 7.7 პუნქტით გათვალისიწინებული შემთხვევისა) სათანადო დოკუმენტების წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღეში.

7.6 წინასწარი ანაგარიშსწორების ფორმა (ავანსი) არ გამოიყენება

7.7 იმ შემთხევაში თუ კალედარული გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული შესაბამისი ეტაპის ვადის ამოწურვისას ,,მიმიწოდებლის" მიერ არ არის შესაბამისი ეტაპის ღირებულების სამუშაოები სრულად შესრულებული, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოები ღირებულება არ ანაზაღაურდება ეტაპით გათავლისწინებული ღირებულების სამუშაოების სრულად შესრულებამდე.

7.8 იმ შემთხვევაში თუ ამოწურულია სამუშაოების შესრულების საბოლოო ვადა და მიმწოდებელი სამუშაოებს ასრულებს ვადაგადაცილებების პერიოდში დარჩენილი შესასრულებელი სამუშაოების ღირებულება არ ანაზღაურდება სამუშაოების სრულად დასრულებამადე.

8. გარანტია

8.1 შესრულებული სამუშაოს სრულფასოვანი ფუნქციონირების საგარანტიო ვადა შეადგენს საბოლოო მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არანაკლებ 1 (ერთი) წელს, რომლის განმავლობაში რაიმე წუნის აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ აღნიშნული დეფექტი გამოწვეულია „მიმწოდებლის“ მიზეზით, მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან, 30 (ოცდაათი) დღის ვადაში საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს აღდგენითი სამუშაოები.

9.ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

9.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები ,,შემსყიდველი" ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

9.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში

9.5 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. სუბკონტრაქტორები

10.1 მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში ყველა შესაძლო ქვეკონტრაქტორის აყვანის შესახებ, თუ ეს უკვე არ იყო მითითებული სატენდერო წინადადებაში. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს ასევე აცნობოს თუ რა მოცულობის სამუშაოები გადაეცემა ქვეკონტრაქტორს.

10.2 ქვე-კონტრაქტორის (ების) მიერ შესასრულებელი სამუშაოების ჯამური მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს შესასრულებელი სამუშაოების მთლიანი მოცულობის 40%.

10.3 მუშაობის პროცესში ქვეკონტრაქტორის შეცვლა, ან დამატებითი ქვეკონტრაქტორის აყვანა ასევე უნდა ეცნობოს შემსყიდველს. მიმწოდებელი ვალდებულია აცნობოს შემსყიდველს მოცულობის რა ნაწილი გადაეცემა ქვეკონტრაქტორს.

10.4 სამუშაოების ნაწილის ქვეკონტრაქტორზე გადაცემით მიმწოდებელი არ თავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებიდან

10.5 ქვე-კონტრაქტორი არ უნდა იყოს რეგისტრირებული სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს არაკთილსინდისიერთა მეწარმეთა რეესტრში (შავ სიაში).

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

11.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს დანართი–შეთანხმების სახით, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

12. მხარეთა უფლება–მოვალეობები

12.1 ,,შემსყიდველი" უფლებამოსილია:

–სამუშაოს დასრულებამდე ნებისმიერ დროს მოითხოვოს ,,მიმწოდებლისგან" მისთვის საჭირო ინფორმაცია.

12.2 ,,შემსყიდველი" ვალდებულია:

– უზრუნველყოს ,,მიმწოდებლი"–ს მიერ შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების და პირობების დაცვით.

12.3 ,,მიმწოდებელი" უფლებამოსილია:

–მოსთხოვოს ,,შემსყიდველს" შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

12.4 ,,მიმწოდებელი" ვალდებულია:

–დროულად , კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

13. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

13.1 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია არ გამოიყენება.

14. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

14.1 დაუძლეველი ძალის გარდა ხელშეკრულბის მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები: – ხელშეკრულების თვითნებურად შეწყვეტის შემთხვევაში ხელშეკრულების შემწყვეტი მხარე გადაიხდის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის 20% (ოცი)-ის ოდენობით.

14.2 მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაგვიანებით შესრულებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1%–ის ოდენობით.

14.3 მხარემ რომელმაც ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და ამოწურულია ხელშეკრულების მოქმედების ვადა ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე შეწყდა დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 20 % ოდენობით მეორე მხარის სასარგებლოდ.

14.4 მხარემ რომელმაც ნაწილობრივ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და ამოწურულია ხელშეკრულების მოქმედების ვადა ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე შეწყდა დაეკისრება პირგასამტეხლო შესასრულებელი(დარჩენილი) ვალდებულების 10% ოდენობით.

14.5 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ ძირითადი ვალდებულებების შესრულებისადმი.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა

15.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

15.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე დაუყონებლივ.

15.3 **ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებია:**

ა)თუ მხარისათვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებელს მისგან დამოუკიდბელი მიზეზები გამო არ შეუძლია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

ბ) თუ ,,მიმწოდებელი“ კალენდარული გეგმა-გრაფიკით გათვალიწინებულ შესაბამის ეტაპს ჩამორჩება 7 (შვიდი) კალენდარულ დღეზე მეტი ვადით ,,შემსყიდველს“ აქვს უფლება ცალმხრივად შეწყვიოს ხელშეკრულება.

გ) თუ ,,მიმოწდებლის“ მიერ არ მოხდება სამუშაოების დაწყება 7(შვიდი) კალენადარულ დღეზე მეტ ვადაში ,,შემსყიდველს“ აქვს უფლება ცალმხრივად შეწყვიოს ხელშეკრულება.

დ) თუ ადგილი ექნება მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების სისტემატიურად დარღვევის ფაქტს. რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით.

ე) თუ ხელშეკრულების მე-14 მუხლის 14.2 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ოდენობა ხელშეკრულებების პირობების დაგვიანებით შესრულების გამო მიაღწევს მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 2%–ს, მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

ე) თუ მხარე არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს.

ვ) თუ შემსყიდველისთვის ცნობილი გახდება,რომ მიმწოდებლის წარმოდგენილი დოკუმენტების ყალბი აღმოჩნდება.

ვ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულს სხვა შემთხვევებში.

15.4 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს ,,მიმწოდებელს" ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

16. დაუძლეველი ძალა

16.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეულ პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შეუძლებლობის შესახებ.

16.2 თუ ერთ–ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

16.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

17. სადავო საკითხების გადაწყვეტა

17.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

18. გადასახადები და დაბეგვრა

18.1 ,,მიმწოდებელი" პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

19. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

19.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2016 წლის ——— ჩათვლით.

19.2 ხელშეკრულება შედგენილია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. 1 (ერთი) პირი ,,მიმწოდებელთან" და 2 (ორი) პირი ,,შემსყიდველთან".

20. ხელშეკრულების მხარეები

,,შემსყიდველი”	,,მიმწოდებელი“
---	---
---	---
---	---

დანართი №1 (პრეტენდენტის შეთავაზება)

1 პრეტენდენტის იურუდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის თანამდებობა, სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ბანკი ბანკის კოდი

ანგარიშის ნომერი

2. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შემოთავაზებული სატენდერო წინადადების ფასი:

_____ _____

(პრედენდენტის დასახელება) (ხელმოწერა)

_____

(სახელი, გვარი, თანამდებობა) (თარიღი, ბ.ა)

ინფორმაცია მიმდინარე წლის (დასრულებული ხელშეკრულებები) და ბოლო 2 (ორი) წლის (2014,2015 წ.წ.) განმავლობაში შესრულებული ანალოგიური სამუშაოების შესახებ

სამუშაოს დასახელება	შემსყიდველის დასახელება	ხელშეკრულების ღირებულება	ხელშეკრუ ლების ნომერი (spa ნომერი ასეთის არსებობის შემთხვევა ში)	ფაქტიურად შესრულებ ულ ი სამუშაოს ღირებულ ება	სამუშაოს შესრულების პერიოდი

შენიშვნა: ინფორმაცია დადასტურებული უნდა იყოს ტექნიკური დოკუმენტაციის მე-4 მუხლის 4.1. პუნტქის მოთხოვნების შესაბამისად.

_____ _____

(პრედენდენტის დასახელება) (ხელმოწერა)

_____

(სახელი, გვარი, თანამდებობა) (თარიღი, ბ.

ინფორმაცია პრეტენდენტის მატერიალურ ტექნიკური შესაძლებლობების შესახებ

მანქანა მექანიზმების დასახელება	მარკა მოდელი	რაოდეონობა	მდგომარეობა (ახალი, ნახმარი, მოძველებული)	მფლობელობის ან სარგებლობის საგებლობის ფორმა
ავტოთვით მცლელი				
ბეტონმზიდი				
ექსკავატორი				

შენიშვნა: ინფორმაცია დადასტურებული უნდა იყოს ტექნიკური დოკუმენტაციის მე-5 მუხლის 5.2. პუნტქის მოთხოვნების შესაბამისად.

_____ _____

(პრედენდენტის დასახელება) (ხელმოწერა)

_____

(სახელი, გვარი, თანამდებობა) (თარიღი, ბ.ა)

სამუშაოების შესრულების კალენდარული გეგმა-გრაფიკი

სამუშაოების დასახელება	სამუშაოს ხანგრძლივობა		
	I-10დღე	II-10 დღე	III-10 დღე
1	2	3	4
თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფლებში, ბეტონის გზების, სანიაღვრე არხების, ცხაურების და ბოგირების მოწყობის სამუშაოები.			

შენიშვნა: პრეტენდენტმა უნდა აღნიშნოს თითოეულ გრაფაში ცალ-ცალკე დღეების (ეტაპების) მიხედვით თუ რა ღირებულების სამუშაო იქნება შესრულებული, ამავდროულად კალენდარული გეგმა გრფიკით გათვალისწინებულ თითოეულ ეტაპზე შესასრულებული სამუშაოების ღირებულება არ უნდა იყოს სახელშეკრულებლო თანხის 15 % ზე ნაკლები.

_____ _____

(პრედენდენტის დასახელება) (ხელმოწერა)

(სახელი, გვარი, თანამდებობა) (თარიღი, ბ.ა)

დანართი №6

ინფორმაცია ქვე-კონტრაქტორის მიერ შესასრულებელი სამუშაოების შესახებ.

ქვე-კონტრაქტორის დასახელება, საიდენტიფიკაციო კოდი.	ქვეკონტრაქტორის ანალოგიური სამუშაო გამოცდილება	შესასრულებელი სამუშაოების დასახელება, სამუშაოს ჯამური მოცულობა	შესასრულებელი სამუშაოების ღირებულება

შენიშვნა: ინფორმაცია დადასტურებული უნდა იყოს ტექნიკური დოკუმენტაციის მე-6 მუხლის 6.1. პუნტქის მოთხოვნების შესაბამისად.

_____ _____

(პრედენდენტის დასახელება) (ხელმოწერა)

_____

(სახელი, გვარი, თანამდებობა) (თარიღი, ბ.ა)